სსრ კავშირის თასზე

საპასუხო შეხვედრა თბილისში, 24 მარტს

განვლილ შაბათს და კვირას გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თაისს პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩები.

თბილისის `დინამო" 18 მარტს ნიკოპოლში თამაშობდა ადგილობრივ "კოლოსთან", რომელიც საკავშირო შეჯიბრებაში II ლიგის გუნდებს შორის გამოდის.

თავიდანვე დინამოელები დაწინაურდნენ (ბურთი 35-ე წუთზე გაიტანა ყიფიანმა), მაგრამ მატჩის დასასრულს, 85-ე წუთზე, მსაჯმა სტუმრების კარში დანიშნა პენალტი და ნაიდამ აღადგინა თანაფარდობა - 1:1.

დინამოელთა რიგებში თამაშობდნენ: გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, დარასელია, (გ. მაჩაიძე), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ჩივაძე). ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა თბილისში შედგება 24 მარტს

21 მარტი, 1978 წ.